პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 24 დეკემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

293 (991) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პ ლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24
განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## საბჭოთა კავშირის და ოსმალეთის მეგობრობის განმტკიცება.

ჯერ კიდევ ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ჩვენ ვსწერდით იმ კეთილმეზობლურ განწყობილებაზე, რომლითაც აღვსილია საბჭოთა კავშირი ახალგაზრდა ოსმალეთის რესპუბლიკისადმი. ჩვენ ვამბობდით აგრეთვე, რომ ვერავითარი ინგლისის და ამერიკის იმპერიალისტების პროვოკაცია და ცილისწამება ვერ დაარღვევს ოსმალეთსა და საბჭოთა ქვეყნის შორის არსებულ მეგობრულ დამოკიდებულებას, რომ იმპერიალისტების პროვოკაციას ოსმალეთი უპასუხებს ამ თავისი კავშირის განმტკიცებით საბჭოთა რესპუბლიკებთან.

დღევანდელმა რადიომ ბრწყინვალედ დაამტკიცა ყოველივე ეს. დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება იმ ხელშეკრულების შინაარსი, რომელიც დადებულ იქმნა საბჭოთა მთავრობისა და ოსმალეთის მთავრობის შორის ქ. პარიზში. ეს ხელშეკრულება მთლიანად და სავსებით კიდევ ერთხელ ამტკიცებს საბჭოთა კავშირის და ოსმალეთის რესპუბლიკის მტკიცე მეგობრობის ფაქტს. ეს ხელშეკრულება ნიადაგს აცლის ინგლისის და საზოგადოთ ყველა ჯურის იმპერიალისტების ყოველგვარ პროვოკაციას, რომლის (პროვოკაციის) მიზანი იქნება ჩამოაგდოს განხეთქილება ჩვენსა და ოსმალეთს შორის.

ეს ხელშეკრულება პირველი პოლიტიკური ხელშეკრულებაა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება სდებს სხვა სახელმწიფოსთან. ეს სახელმწიფოა ახალგაზრდა ოსმალეთის რესპუბლიკა, რომელმაც სულ რამოდენიმე წელია, რაც შესდგა ფეხი დამოუკიდებელი და კულტურული განვითარების გზაზე. ოსმალეთში რესპუბლიკანური წესწყობილების დამყარებას სასტიკათ ებრძოდენ და ეხლაც ებრძვიან ყველა ქვეყნის იმპერიალისტები და განსაკუთრებით ინგლისი. მათ უნდოდათ, რომ ოსმალეთში ყოფილიყო ისევ ხონთქრის ბატონობა, რომ ოსმალეთის გაუნათლებელი ხალხი ყოფილიყო ინგლისის იმპერიალისტების საწველი ფური. მაგრამ ოსმალეთის ხალხმა მოსპო ძველი დახავსებული წესწყობილება და მით სამუდამოთ ბოლო მოუღო ევროპის იმპერიალისტების უპასუხისმგებლო თარეშს თავის ქვეყანაში. და როცა განახლებული ოსმალეთი ებრძოდა ინგლისის მიერ მასეულ საბერძნეთის ჯარებს, როცა ყველა მსოფლიო მძარცველები ლამობდენ მის დაღუპვას, მხოლოდ ერთად ერთი საბჭოთა კავშირი სულით და გულით თანაუგრძნობდა და ახნევებდა მას.

მსოფლიო იმპერიალიზმი ებრძვის როგორც ოსმალეთს, ისე საბჭოთა ქვეყანას. სწორედ ეს გარემოება ავალდებულებს როგორც საბჭოთა რესპუბლიკებს, ისე ოსმალეთის რესპუბლიკას იქონიონ მტკიცე კეთილმეზობლური კავშირი.

ეს აუცილებლობა სავსებით შეგნებულია ორთავეს მხრივ და სათანადო ნაბიჯიც გადადგმულია ხსენებული ხელშეკრულების დადებით.

ეს ხელშეკრულება სავსებით უზრუნველყოფს ოსმალეთის და მუშურ-გლეხური რესპუბლიკის მეგობრობას.

ვიმედოვნებთ, რომ ეს ხელშეკრულება არ დაკარგავს თავის ძალას სამი წლის შემდეგაც.

---

ორშაბათს, 28 დეკემბერს, საღამოს 6 საათისათვის წითელ თეატრში (ზუბალაშვილის სახელობის ყოფილ სახალხო სახლში) მოწვეულია ტფილისის საბჭოს ფრაქციის სხდომა.

**დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:**

მოხსენება საბინაო საკითხის შესახებ.

სხდომაზე დასწრება სავალდებულოა საქართველოს კომპარტიის იმ წევრებისა და კანდიდატებისათვის, რომელნიც ტფ. საბჭოს წევრები ან კანდიდატები არიან.

მასალის მიღება მოხსენების გამო შეიძლება წინასწარ პრეზიდიუმის მდივანთან ამხ. ცქიტიშვილთან (ალმასკომი, ოთახი № 5).

ფრაქციის ბიურო.

---

# ახალი რადიო-ამბები

## ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და ოსმალეთს შორის

17 დეკემბერს პარიზში დადებულ იქნა ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა და ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტევ-ფიკ-რუშდი-ბეიმ.

ხელშეკრულება გამოიხატება შემდეგში:

მუხლი 1. თუ რომ ამ ორ სახელმწიფოდან რომელიმეს წინააღმდეგ მოახდინა საომარი გამოსვლა სხვა სახელმწიფოებმა, იმ შემთხვევაში ერთი მხარე ვალდებულია დაიცვას ნეიტრალიტეტი მეორეს მიმართ.

შენიშვნა: გამოთქმა „საომარი გამოსვლა“ არ უნდა შეიცავდეს სამხედრო მანევრებს, ვინაიდან ისინი ზიანს არ აყენებენ მეორე მხარეს.

მუხლი 2. თვითეული მხარე ვალდებულია თავი შეიკავოს მეორეზე თავდასხმისაგან, არავითარ კავშირში არ შევიდეს სხვა სახელმწიფოსთან მეორეს წინააღმდეგ.

მუხლი 3. ხელშეკრულება ძალაში შევა დღიდან მისი დამტკიცებისა და ძალაში იქნება 3 წლის განმავლობაში.

ხელს აწერს ჩიჩერინი და ტევფიკ რუშდი.

## ოტო ბაუერი საბჭოთა კავშირში დელეგაციის გაგზავნის წინააღმდეგ

ოტო ბაუერი ცნობილი ბელადია ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის და აგრეთვე მთელი მეორე ინტერნაციონალისა. მან ფართე მოხსენებით გამოვიდა ვენის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის კრებაზე საბჭოთა კავშირში ავსტრიის მუშათა დელეგაციის გაგზავნის შესახებ. თავის მოხსენებაში ბაუერი შეჩერდა საბჭოთა კავშირის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა იზრდება, „ბოლშევიკების დიდმა მიღწევებმა ამ უკანასკნელ წლეებში დაგვიმტკიცა ჩვენ, რომ უკაპიტალიზმოდაც შესაძლებელი ყოფილა არსებობა“.

შემდეგ ბაუერმა წამოაყენა ორი ამოცანა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიისათვის: 1) საბჭოთა კავშირთან მჭიდრო სავაჭრო კავშირის და ამისათვის ხელის შეწყობა, 2) საბჭოთა კავშირთან სოლიდარობა თუ მას თავზე დაესხმება რომელიმე კაპიტალისტური სახელმწიფო. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა ბაუერი წინააღმდეგია მუშათა დელეგაციის გაგზავნისა, ვინაიდან „ბოლშევიკები სდევნიან რუსეთის სოციალ-დემოკრატებსო“.

## საკავშირო დეპეშათა სააგენტოს განცხადება.

ხმები იმის შესახებ, თითქოს იტალიასა და საბჭოთა კავშირს შორის დადებული იყოს შეთანხმება, რომელშიაც თითქოს არის ოსმალეთის საწინააღმდეგო მუხლები, ყოვლად უსაფუძვლოა. ამ ხმებს უმთავრესადავრცელებენ წრეები, რომლებიც დაინტერესებული არიან იმაში, რომ ჩაშალონ ახალი ოსმალეთის და საბჭოთა კავშირის მეგობრობა.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს დავალებული აქვს კატეგორიულად უარყოს, როგორც ფაქტი ასეთი ხელშეკრულების არსებობისა, ისე ცნობა, თითქოს საბჭოთა კავშირი შეთანხმდა სხვა სახელმწიფოებთან ოსმალეთის ინტერესების წინააღმდეგ.

## იტალიის გაზეთები სტალინის სიტყვის შესახებ.

სტალინის სიტყვის გამო, რომელიც გამოქვეყნებულია იტალიის ყველა გაზეთებში, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლო მდგომი გაზეთი „ტევერე“ სწერს: „რკპ-ს გენერალურ მდივნის სტალინის სიტყვა მოწმობს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელების მომწიფებას, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა სახელმწიფო ახალგაზრდაა. ჩიჩერინისა და სტალინის განცხადება, რომ ლოკარნოს ხელშეკრულებაში არ არის უზრუნველყოფილი ევროპის მშვიდობიანობაო, განსაკუთრებით ძვირფასია იტალიელებისთვის. ჩვენ უნდა დაუჭიროთ მხარი საბჭოთა დიპლომატებს უფრო სამართლიანი მდგომარეობის შექმნაში“.

## საფრანგეთის გაზეთები რკპ-ს ყრილობის შესახებ

საფრანგეთში დიდი ინტერესით ადევნებენ თვალ-ყურს რუსეთის კომუნისტურ პარტიის ყრილობას.

გაზეთები აქვეყნებენ დაუჯერებელ კორესპონდენციებს რკპ-ს ხელმძღვანელებს შორის ბრძოლის შესახებ.

თითქმის ყველა გაზეთებმა გამოაქვეყნეს სტალინის სიტყვა, გამოსტოვეს მასში მხოლოდ წამოყენებული წინადადება საყოველთაო სრულ განიარაღების შესახებ.

## იაპონია-საბჭოთა ურთიერთობა

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა გადასცა იაპონიას განცხადება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირს არავითარი განზრახვები არ აქვს იაპონიის წინააღმდეგ შორეულ აღმოსავლეთში.

ამის პასუხად იაპონიის მთავრობამ სრული კმაყოფილება გამოსთქვა იმ მეგობრული გრძნობების გამო, რომლითაც გამსჭვალულია განცხადება.

---

## სამოქალაქო ომი ჩინეთში

### ფინ-იუი-სიანი მალე აიღებს ტიან-ცზინს

დიდი ბრძოლის შემდეგ გენერალ ფინ-იუი სიანის ჯარებმა დაიკავეს პეცანი, ტიან-ცზინიდან 10 ვერსის მანძილზე. ფიქრობენ რომ ტიან-ცზინს რამოდენიმე საათში აიღებს ფინ-იუი-სიანის ჯარებიო.

---

## უცხო სიტყვების ახსნა

სიმულიაცია—სიყალბე, მოტყუილება.

კონსტრუქცია—შენობის ან რომელიმე საგნის ნაწილების თავისებური დალაგება.

სისტემა—განსაზღვრულ წესით დალაგება ნაწილების, რომლებიც შეადგენენ ერთ მთელს.

დიუიმი—უდრის დაახლოებით ნახევარ ვერშოკს.

პრეზიდიუმი—რამოდენიმე პირისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც ხელმძღვანელობს კრების ან დაწესებულების მუშაობას.

ნეიტრალიტეტი—ჩაურევლობა ორ მოპირდაპირის დავასა ან ჩხუბში.

# კომუნისტური პარტიის (ბ) მე-XIV ყრილობა

**ამხ. მოლოტოვის მოხსენება.**

ცეკას საორგანიზაციო ანგარიშის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მოლოტოვმა. მან განაცხადა, რომ 13 და 14 ყრილობებს შორის წამოიჭრა მუშებისა და გლეხთა მასების ხელმძღვანელობისა და გამოცოცხლების ამოცანა.



ამხ. მოლოტოვი.

ერთ-ერთი საშუალება გლეხებზე ხელმძღვანელობისა—ეს არის წითელი არმია, რომელიც 72 პროცენტით გლეხებისაგან შესდგება. წითელი არმია უპარტიო გლეხების აღმზრდელი სკოლაა. წითელ-არმიაში მუშაობას პარტია დიდ ყურადღებას აქცევდა. პარტიის წევრთა რიცხვი არმიაში 15 პროცენტამდის გაიზარდა, კომკავშირის წევრთა რიცხვი—29 პროცენტამდი.

**კამათი მოხსენების გარშემო**

საღამოს, 19 დეკემბერს თანამოხსენებით გამოვიდა ამხ. ზინოვიევი, რომელმაც გამოსთქვა თავისი შეხედულება საშინაო პოლიტიკის საკითხში. მის შემდეგ გამოვიდა მთელი რიგი ამხანაგებისა—ბუხარინი, ორჯონიკიძე, კაგანოვიჩი და სხვები. ორატორებმა დაჰგმეს ზინოვიევის შეხედულება და მოუწოდეს მხარი დაუჭირონ ცეკას პოლიტიკას.

**ამხ. ზინოვიევის თანამოხსენება.**

ამხ. სტალინის შემდეგ ცეკას ანგარიშის შესახებ თანამოხსენებით გამოვიდა ამხ. ზინოვიევი.

ამხ. ზინოვიევი ეთანხმება იმ აზრს, რომ ჩვენი კავშირი მიდის სოციალიზმისაკენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გზით გლეხობასთან კავშირში.

მაგრამ ის აღნიშნავს, რომ სოციალიზმის აღმშენებლობის საქმე ჩვენში ამ ჟამად მეტად ძნელია, რადგანაც მსოფლიო რევოლიუცია დააგვიანდა, რომ ჩვენს ქვეყანაში უმეტესობა გლეხობაა, რომ ძნელია პარტიის ხელმძღვანელობა და ქვეყნის წინ წაყვანა ლენინის გარდაცვალების შემდეგ.

—ამის გამო—ამბობს ამხ. ზინოვიევი—პარტიაში ჩნდება დაეჭვება თავიანთ ძალებში, „ობივატელური“ განწყობილება, რევოლიუციისადმი რწმენის შესუსტება,

ამხ. ზინოვიევი ამბობს, რომ ჩვენი სახელმწიფო მსხვილი საწარმონი არა-სოციალისტური, არამედ სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტურია.

ამხ. ზინოვიევის აზრით პარტია ვერ აფასებს სათანადოდ ბობოლას ძალას სოფლად და საჭიროდ სთვლის პარტიაში მუშების მიზიდვას გამოუკლებლივ.

**ამხ. ბუხარინის სიტყვა.**

ამხ. ბუხარინი პირველყოვლისა აღნიშნავს, რომ ამხ. ზინოვიევის გამოსვლა საფრთხილოა და ის ემუქრება პარტიის მთლიანობას. არჩევს რა ამხ. ზინოვიევის მოხსენებას ამხ. ბუხარინი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ზინოვიევი და ლენინგრადელი ზოგიერთი ამხანაგები მხოლოდ აკრიტიკებენ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ხაზს, ხოლო თვითონ კი აზრიანსა და საქმიანს ვერაფერს ვერ გვირჩევენ.

ამხ. ბუხარინი ხაზს უსვამს, რომ ზინოვიევის აზრი პარტიაში 5 მილიონიან მუშათა ახალი წევრების მიზიდვის შესახებ მიუღებელია. ამ მუშებს მონაწილეობა არ მიუღიათ რევოლიუციაში, ისინი ეს-ეს არის ეხლა მოსულან სოფლიდან და რევოლიუციონურ სკოლის გაუვლელად მათ არ შეუძლიათ ჯერჯერობით ლენინის პოლიტიკის გაგრძელება.

ამხ. ბუხარინი აცხადებს, რომ, მოუწოდებს რა აშკარა ბრძოლისაკენ ბობოლას წინააღმდეგ, ამხ. ზინოვიევს ეჭვი შეაქვს იმაში, რომ პარტიას ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობასთან კავშირში შეუძლია რევოლიუციის გაგრძელება. ჩვენ—ამბობს ამხ. ბუხარინი—უნდა ვებრძოლოთ ბობოლებს არა ღონით, როგორც ამას ლენინგრადელი ამხანაგები გვირჩევენ, არამედ ფულით; უნდა შევაკავშიროთ ბობოლას წინააღმდეგ ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხობა, გავუწიოთ მათ ნივთიერი დახმარება, რათა ისინი არ მოექცენ ბობოლას გავლენასა და ბატონობას.

ამხ. ბუხარინი გამოსთქვამს იმედს, რომ პარტიის ყრილობა მიუთითებს ლენინგრადელ ამხანაგებს მათ შეცდომებზე, რომ ისინი ამ შეცდომებს გაიგებენ და გააგრძელებენ სოციალიზმის აღმშენებლობას პარტიასა და ცენტრალურ კომიტეტთან ერთად. ყრილობა ერთხმად უჭერს მხარს ამხ. ბუხარინს.

ამხ. ბუხარინის შემდეგ გამოდიან რიუტინი, კრუპსკაია, პეტროვსკი, პოლონსკი, პოსტიშევი, მედვედევი, ლაშევიჩი, მიკოიანი, უგლანოვი, იაროსლავსკი და სხვები. ეს ორატორები გმობენ ზინოვიევისა და ლენინგრადელ ამხანაგების შეხედულებას. შემდეგ გამოდის ამხ. ორჯონიკიძე.

**ამხ. ორჯონიკიძის სიტყვა.**

— ზინოვიევის გამოსვლა— ამბობს ამხ. ორჯონიკიძე—არ შეიძლება შეფასებულ იქნას როგორც უბრალო მოხსენება, ან როგორც სადაო საკითხების უბრალო განმარტება. ზინოვიევი თანამოხსენებაში ამტკიცებდა, რომ ცენტრალურ კომიტეტის ხაზი სწორია. მაშ რაღა საჭიროა თანამოხსენებით გამოსვლა? ამის შემდეგ თანამოხსენებით გამოსვლა და მტკიცება იმის, რომ ეს უბრალო აზრთა გაცვლა-გამოცვლაა, ვერაფერი პოლიტიკური სიბრძნეა.

ჩვენ უნდა დავუყენოთ ზინოვიევს საკითხი ასე: რატომ უქმნის ის პარტიას ასეთ კრიზისს? ჩვენს წინაშე იშლება ასეთი სურათი: ზინოვიევი და სხვა ლენინგრადელი ამხანაგები გამოდიან და ამბობენ, რომ პრინციპიალური სხვადასხვაობა ცეკასა და მათ შორის არ არის, რომ ცეკას პოლიტიკურ ხაზს ისინი იზიარებენ და იწონებენ. თუ ეს ასეა, თქვენ დაჩნეულხართ და საჭიროა გამოხვიდეთ ამ მდგომარეობიდან. მე ვფიქრობ, რომ არ შეიქნება არავითარი ოპოზიცია, არ იქნება ჩვენს პარტიაში არც უმცირესობა და არც უმრავლესობა და ლენინგრადელები განაცხადებენ: „პარტიის გადაწყვეტილება—ეს ჩვენი გადაწყვეტილებაა და ჩვენ გავატარებთ მას“.

(შემდეგი იქნება)

# სამხედრო საქმე.

## როგორ იხმარება აირები ომში.

**აირის ტალღები.**

საბრძოლო აირი შეიძლება ძლიერ გააცივო და შეკუმშო, რითაც ის გადაიქცევა სითხედ. ამ სითხით ავსებენ ერთგვარ ფოლადის ჭურჭლებს, ეგრედ წოდებულ ბალონებს. ბალონები შეიძლება იყოს დიდი, 70 გირვანქა სითხის ტევადობით და პატარა—30 გირვანქიანი.

აირიან ბალონებით იერიშის დროს, ბალონებს მოაწყობენ წინა სანგრებში. თვითეულ ბალონს გაუკეთებენ რეზინის მილს 9 არშინ სიგრძისას და გაისვრიან სანგრის კიდეს გადაღმა, მოპირდაპირისაკენ. რომ მილიდან გამომდინარე სითხე არ იღვრებოდეს მიწაზე, მილის ბოლოზე მიამაგრებენ ერთგვარ წრეს (სასხურებელ ბადროს). ეს წრე ასხურებს სითხეს, რომელიც შემდეგ ორთქლდება და იქცევა ღრუბლად (ნისლად). ღრუბელი ეფინება მიწას და თანამგზავრ ქარს მიაქვს მტრის მხარეზე.



სანგარში მოწყობილი აირიან ბალონების ბატარეა.

ბატარეა დაცულია ტყვიებისა და ჭურვების ნამტვრევებისაგან მიწიანი ტომრებით.

ხშირად ასეთ ბალონებს შეაერთებენ რამოდენიმეს ერთად (6 ცალს) და შეადგენენ აირის ბატარეას.

აირბალონიან იერიშისთვის საჭიროა შემდეგი პირობები:

თანამგზავრი, ზომიერი ქარი, რომელსაც დაახლოებით უნდა ჰქონდეს საშუალო ძალა—2-დან 4 მეტრამდი წუთში. ძლიერი ქარი ჩქარა გაჰფანტავს ღრუბელს, ხოლო სუსტ ქარს შეუძლია შესცვალოს მიმართულება და მოაბრუნოს ღრუბელი თავისივე სანგრებისაკენ. ამასთან საჭიროა სწორი, გაშლილი ადგილმდებარეობა, ოდნავ დაქანებული მტრისაკენ. ხშირი ტყე ხელს უშლის აირის ღრუბლებს: ის ჩვეულებრივად აღიმართება და მიდის ტყის თავზე. დიდი მაღლობებიც ხელს უშლიან ღრუბლის მოძრაობას, რომელიც ჩვეულებრივად გაემართება ფერდებზე და სრულიად დასტოვებს მაღლობის წვეროს. მეჩხერი ბუჩქნარი და პატარა წყლები ხელს არ უშლიან აირის ტალღას. იერიშის მომზადება მოითხოვს დიდ დროსა და დიდძალ მუშა ხელს. ამიტომ აირბალონიან იერიშს ჩვეულებრივად მიმართავენ პოზიციურ (სანგრებში) ომში; მანევრებიან ბრძოლაში ასეთი იერიშის წარმოება მეტად განსაზღვრულია.

ი. ბ.

### ჯავშნიანი მატარებლები და მათთან ბრძოლა.

სულ რაღაც ორმოცდაათიოდე წელია, რაც ჯავშნიანი მატარებელი შემოვიდა ხმარებაში. მაგრამ პირველ ხანებში ეს იყო საბარგო რონოდები მოწყობილი ძელებით, მიწით და ყველა იმ მასალით, როგორიც კი მოეპოებოდათ ხელში. რონოდებში მოაწყობდენ ქვემეხებს, ტყვიამფრქვევებს და აქვე თავსდებოდა მეომრები. ამგვარად მოწყობილ მატარებელს ან რონოდს ეწოდებოდა ბლინდაჟიანი ანუ მოჯავშნული.

მსოფლიო ომის დასაწყისში ამ ვაგონებს გაუკეთეს ფოლადის ჯავშანი. მაგრამ ეს ჯავშანი ვერ იყო დიდად საიმედო და მხოლოდ თვით ომის დროს ინგლისელებმა გამოიგონეს ისეთი ჯავშანი, რომლის სისქე უდრიდა დიუმის მეოთხედს, კარგად იცავდა როგორც ტყვიის ისე ჭურვების ნამტვრევებიდან. ამის შემდეგ ჩქარი ნაბიჯით წავიდა წინ ჯავშნიანი მატარებლებისა და ავტომობილების განვითარება.

მაგრამ ამ ბოლო ომში ჯავშნიან მატარებლებს ნაკლებად მიმართავდენ, ვინაიდან მსოფლიო ომი პოზიციური იყო: მოპირდაპირეები მეტწილად თხრილებიდან აწარმოებდენ ბრძოლას.

სამაგიეროდ ჯავშნიანი მატარებლები დიდის წარმატებით მუშაობდენ ყველა ფრონტებზე და იქ, სადაც ნაკლებად იყო სპეციალური ჯავშნიანი მატარებლები, წითელი ჯარები თავიანთი საშუალებით აწყობდენ ბლინდაჟიან ანუ მოჯავშნულ მატარებლებს.

თავისთავად გასაგებია, რომ ჯავშნიან მატარებელს შეუძლია მოქმედება მხოლოდ იმ მიმართულებით, სადაც რკინის გზის ხაზი მოიპოვება. ისინი, ასე ვსთქვათ, თითქმის მიმაგრებული არიან ლიანდაგზე. ჯავშნიანი მატარებლები თითქმის ყოველთვის მოქმედებენ ქვეითა ჯარებთან ერთად. ის მოულოდნელად გაჩნდება მოპირდაპირის ახლოს და გახსნის ცეცხლს. ქვეითი ჯარი კი გამაგრდება დაკავებულ რაიონში. ომის დასაწყისში თეთრგვარდიელებს არ ჰყავდათ ჯავშნიანი მატარებლები და ისინიც ბლინდაჟიანი მატარებლებით სარგებლობდენ. მაგრამ შემდეგ იმათ მიიღეს ფრანგებისაგან საუცხოვოდ მოწყობილი ჯავშნიანი მატარებლები. ამ დროს ჩვენს ქარხნებშიც მოგვარდა მუშაობა. ჩვენც გავაძლიერეთ კარგად მოწყობილი ჯავშნოსნები.

ჯავშნიანი მატარებლები დიდ საქმეს აკეთებდენ. ხშირად ისინი არღვევდენ ფრონტს და ამით ამსუბუქებდენ ქვეითა ჯარის შემდეგ მუშაობას.

როგორ უნდა იბრძოლო ჯავშნიან მატარებლების წინააღმდეგ?

ბრძოლის პირველი საშუალებაა არტილერია, მაგრამ აქ უფრო მნიშვნელოვანია გზების მოჭრა ლიანდაგის აყრით. ამით ჯავშნოსანს ხელი ეშლება მოქმედებაში, ვინაიდან გზის გასწორებას დიდი დრო უნდება, ხოლო ამ ხნის განმავლობაში არტილერიას შეუძლია სრულებით გაანადგუროს ის.

ვ.

# 1904–5 წლები.

## პირადი მოგონებიდან

ცხრაას ოთხი წლის მუშაობა უმთავრესათ გამოიხატებოდა ეკონომიური კერძო ხასიათის გაფიცვებში, რომლებსაც ადგილი ქონდა ქუთაისის წვრილ ხელოსნებში ქარგლებში, შეგირდების და სავაჭრო წარმოებათა მოსამსახურეებს შორის. ამ წელში თვალსაჩინო გამოსვლებს ადგილი არ ქონდა, მაგრამ პარტიამ სამაგიეროთ საკმაო ორგანიზაციული და პრაქტიკული სამუშაო ჩაატარა, როგორც თვით ქალაქის ორგანიზაციებში, სადაც მუშები, ხელოსნები და მოწაფეების დიდი რიცხვი იყრიდა თავს ისე, რაიონებში და სოფლებში, სადაც გამრავლებულ ორგანიზაციებს სჭირდებოდა ხელმძღვანელობა. სოფლებზე და რაიონებზე განსაკუთრებული პროპაგანდისტები იყვენ მიმაგრებული მუდმივ სამუშაოთ. სწორედ ასეთმა დიდმა მუშაობამ გამოიწვია პროპაგანდისტთა კადრების შექმნა. ამ მიზნით დაარსდა პროპაგანდისტებისათვის მოსამზადებელი ცალკე წრე, სადაც განსაკუთრებული პროგრამით სწარმოებდა პროპაგანდისტების მომზადება.

აქვე უნდა აღვნიშნო ერთი გარემოება, რომელსაც ადგილი ქონდა სოფლის ახალგაზრდობის გარევოლიუციონერებაში. ეს იყო სხვა და სხვა ქალაქიდან გაფიცვისათვის ან როგორც არა „კეთილ საიმედო პირები“ გამოძევებული ხალხი თავიანთ სამშობლოში. აღნიშნული არა „კეთილ საიმედო“ პირებს, რასაკვირველია სოფლათ მეტი გასაქანი ქონდათ მუშაობისათვის, რადგან მათ, როგორც ქალაქში თვალ წინ არ უდგათ „კალოდოჩნიკი“ და „გოროდოვოები“. სოფელში უფრო თავისუფლათ გრძნობდენ თავს ქალაქიდან გამოძევებულები, რომლებიც დიდი გავლენით სარგებლობდენ გლეხურ ახალგაზრდობაში. ასეთს დროს და პირობებში პარტიას არ შეეძლო დაეკმაყოფილებია ყველა ორგანიზაციები პროპაგანდისტებით და პროკლამაცია-ბროშურებით. ძლიერ ხშირათ ქონდა ადგილი, რომ სოფლის წარმომადგენელი ჩამოსულა პროპაგანდისტისთვის, პროკლამაციების და ბროშურების მისაღებათ, მაგრამ ხელ ცარიელი დაბრუნებულა უკან.

როგორც ვიცით ცხრაას ოთხ წელში რუსეთს ომი ქონდა იაპონიასთან და პარტია ძალიან ხშირათ უშვებდა პროკლამაციებს ომის წინააღმდეგ, მეფის არმიის და ფლოტის თითქმის ყველა დამარცხებებს აღნიშნავდენ პროკლამაციებში და ხალხიც სიამოვნებით კითხულობდა მას. საზოგადოთ მიღებული იყო, რომ პროკლამაციები გავრცელებულიყო ისეთ ადგილებს, სადაც ხალხი ბლომად იყრიდა თავს როგორც თეატრები, ცირკები, საღამოები და ზოგჯერაც საღამოობით ეკლესიაში ლოცვის დროსაც. ისე გავთამამდით პროკლამაციების გავრცელებაში, რომ თითქმის არავის არ ვერიდებოდით. ერთმა ასეთმა შემთხვევამ კინაღამ მიგვიყვანა დაჭერამდის. დავალებული გვქონდა პროკლამაციების გავრცელება აღდგომა ღამეს სობოროში. გავივსეთ უბეები და გავწიეთ სობოროში, შევედით შიგ, როგორც მლოცველები; იქვე იყო მთელი ადმინისტრაცია გუბერნატორიდან დაწყებული ქვევით გოროდოვამდის. ჩვენ შევედით და გავჩერდით სხვადასხვა კუთხეში თანაც პროკლამაციები უნდა გადაგვეყარა იმ დროს, როდესაც ეპისკოპოსი გამოვიდოდა სახარებით და ხალხი დაიჩოქებდა. ასედაც მოვიქეცით. დაიჩოქა ხალხმა თუ არა გადავუშვით პროკლამაციები, ხალხი „ღვთის შიშით“ ვერ წამოდგა ზევით, თუმცა წინ მდგომ პოლიცმეისტერმა და პრისტავებმა გაიგენ რაშიც იყო საქმე, მაგრამ რა უნდა ექნათ, დაჩოქილ ხალხს თავზე ვერ გადაახტებოდენ. ჩვენ გამოვცვივდით გარეთ, კარებთან გარეთ იდგა ერთი კალოდოჩნიკი, რომელმაც დაგვპირა დაკავება, მაგრამ მუშებმა ხელი შეუშალა და გაუდექით გზას.

(გაგრძელება იქნება)

ს. ლომიძე

### შეცდომის გასწორება.

ამხ. ს. ლომიძის გუშინდელ წერილში გაგვეპარა ფაქტიური შეცდომა. მეოთხე სვეტის მე-12 სტრიქონში სწერია: „მათ ქონდათ რევოლვერები და ხანჯალი“. უნდა იყოს: „მათ ქონდათ ხმლები და ხანჯალი“.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## ჩვენი კომუჯრედის საქმიანობა.

**სამხედრო პოლიტიკური სკოლა.**

სკოლის კომუჯრედი ადრევე შეუდგა კავშირის გაბმას სამხედრო და სამოქალაქო უჯრედებთან. გამოყო რამოდენიმე ამხანაგი და მიამაგრა ქართულ მეთაურთა სკოლის, არმიის სამხედრო პოლიტსკოლის, ქართული პირველი ლეგიონის და არსენალის უჯრედებზე.

მუშაობა ყველა უჯრედებში ნორმალურად მიმდინარეობს.

სკოლის უჯრედს ადგილობრივ ამ. ლ. კ. კ. ორგანიზაციაზე მიმაგრებული ყავს აქტიური ამხანაგები. კრებებზე ყოველთვის დაიარებიან მიმაგრებული ამხანაგები. ჩვენთანაც ყოველთვის ესწრებიან მეთაურთა სკოლიდან ორი ამხანაგი. ყოველ კრებებზე მოხსენებას აკეთებენ კურსანტები ორკვირეული მიმოხილვაზე გაზეთებიდან, რამაც დიდი სარგებლობა მოგვცა. კურსანტებს წარსულში თუ მასალების დალაგება დიდათ უძნელდებოდათ, დღეს ეს ასე აღარ არის, ყველას თამამათ შეუძლია მოხსენების გაკეთება.

ამასთანავე ერთად კომუჯრედი ავალებს უფ-პოლიტშემადგენლობას მნიშვნელოვან საკითხებზე გაგვიკეთონ მოხსენებები.

წასულ კვირაში სკოლის უფროსის მიერ გაკეთებულ იქნა მოხსენება საქართველოს კომუნისტური პარტიის მე 4 ყრილობის შესახებ, რომელმაც დაწვრილებით გაგვაცნო თუ რა დიდ მიღწევებს ქონდა ადგილი მე-3 ყრილობიდან მე-4 ყრილობამდე და მომავალში რას უნდა მივაქციოთ უმთავრესი ყურადღება. მოხსენების ირგვლივ იყო მრავალი შეკითხვები, რაზედაც სათანადო პასუხი გასცა მომხსენებელმა. გარდა ამისა მოხსენება გაკეთებულ იქნა 1905 წ. რევოლიუციის შესახებ, ამხ. ანთიძის მიერ, რომელმაც ვრცლად გაგვაცნო ამ რევოლიუციის გამომწვევი მიზეზები.

ამ ორმა მოხსენებამ ბევრი მასალები მოგვცა კურსანტებს. იმედია კომუჯრედი ასეთ მნიშვნელოვან საკითხებზე ხშირად დაავალებს მოხსენებებს უფ-პოლიტშემადგენლობის გარდა კურსანტებსაც, რაც დიდ შედეგებს მოგვცემს.

კურსანტი მუშკუნა.

## წვევამდელთა მზადების წერტებზე.

### ჩვენი მუშაობა.

**ქ. ზესტაფონის წერტი.**

ზესტაფონის წერტზე ორი კვირაა, რაც დაიწყო 1904 წელში დაბადებულ ახალგაზრდათა მეცადინეობა.

მეცადინეობას ყოველთვის ესწრება წვევამდელთა 90 პროცენტი, რომლებიც ძლიერ გულმოდგინედ ეკიდებიან სამხედრო და პოლიტიკური ცოდნის შეძენას. არის შემთხვევები, როცა წვევამდელები აგვიანდებიან [illegible] საათებში მოსვლა, რაც გამოწვეულია შორი მანძილიდან სიარულით და ბევრ-ჯერ ცუდი ამინდებით.

წერტს აქვს კარგად მოწყობილი შენობა. შენობაში დამდგმული გვაქვს ღუმელები. ღუმელები, მისთვის საჭირო შეშა და სხვა და სხვა ნივთები მოგვცა მაზრის სამხედრო კომისარიატმა.

წერტზე მყოფი მეთაურები და პოლიტ-მუშაკები არაჩვეულებრივ შრომას არ ზოგავენ, რომ მუშაობა დააყენონ სათანადო სიმაღლეზე და ამით მიაღწიონ ნაყოფიერად.

ლ. ქოლიძე.

## წერტი მოაწყვეთ. ნაყოფიერად ვმეცადინეობთ.

**მარნის წერტი.**

დეკემბრიდან სოფ. მარნეულში დაიწყო წვევამდელთა მე[illegible] მეცადინეობა. მეცადინეობის დაწყებამდე ჩვენი წერტი სრულიად მოუწყობელი იყო, შენობის სიცივეში არა ჰქონდა, [illegible] შენობის სხვა მოწყობილობაც არ იყო. [illegible] წერტის უფროსის ამხ. გურაშვილის ხელმძღვანელობით წერტი კარგათაა მოწყობილი, შენობა გარემონტებული და მოწყობილია [illegible] რაც ძლიერ აინტერესებს ჩვენი სოფლის გლეხობას. უკანასკნელი მოვლენების გამო ჩვენი [illegible] კმაყოფილია. ჩვენ წვევამდელთა შორის [illegible] არ არის. მეცადინეობის დღეს არავინ არ აცდება, ვინაიდან ყველანი დაინტერესებულნი ვართ სამხედრო საქმით.

მეცადინეობა ჩვენთან სწარმოებს დღეში 7 საათი, აქედან 5 საათი სამხედრო და 2 საათი პოლიტ-მეცადინეობა არის. ჩვენი წერტის უფროსის ხელმძღვანელობით ჩვენ მოვაწყეთ სამკითხველო, სადაც თავისუფლად [illegible] გაზეთებს და წიგნებს.

გაზ. „ჩვენი ჯარი“ წევრი ვართ. ამიტომ უკვე გამოვიწერეთ გაზ. „წითელი არმიელი“.

წვევამ. ნიკოლა მუზა.

# წითელი ყაზარმის ცხოვრება და მუშაობა

## ახალწვეულები ჩაებენ მუშაობაში.

**3-მე ლეგ. ბატარეია.**

ახალწვეული წით. არმიელები ენერგიულად ჩაებენ ყოველგვარ საქმიანობაში. ამხანაგები ძლიერ სწრაფად ითვისებენ სამწყობრო და პოლიტიკურ საქმეს. ატარებენ ლენინის კუთხეში ხმამაღალ კითხვას, აწყობენ წარმოდგენებს და სხვა.

დისციპლინა საუცხოვოა ნაწილში. არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე ახალწვეულს დაერღვიოს ის, არ შეესრულებიოს უფროსების განკარგულება და უნებართვოდ წასულიყოს სადმე.

ნაწილის საერთო საქმიანობა, იქ წარმოებული კულტურულ-პოლიტიკური მეცადინეობა და სამხედრო საქმე დიდათ დამაინტერესებელია მათთვის და ენერგიულადაც მუშაობენ.

სამხკორი მხედარი.

## ჩვენი საკლუბო მუშაობა.

**მე-5 ლეგიონის სკოლა.**

ლეგიონის სკოლის მეცადინეობა დაიწყო 26 ნოემბრიდან. ამ დღიდან თანდათანობით ნორმალურ კალაპოტში დგება კლუბის საქმიანობა. ლენინის კუთხეში კი სისტემატიური მუშაობა დაიწყო 15 დეკემბრიდან. პირველი მოხსენება წაიკითხა ამხ. კვირკველიამ, რომელმაც დაწვრილებით გააცნო კურსანტებს კუთხის მნიშვნელობა. ამ ჟამად კუთხე განიყოფა ოთხ ნაწილად: 1) პარტიის ისტორიის შემასწავლელი ჯგუფი, 2) წითელი არმიის, 3) მეცნიერება ადამიანის სამსახურში და 4) ჩვენი ცხოვრების შემსწავლელი ჯგუფი.

ამ ოთხ ჯგუფში შედის 8 ბირთვი, რომლებსაც ხელმძღვანელობენ სკოლის ლექტორები. ბირთვებში მუშაობით ყველა ძლიერ დაინტერესებულია. იმედი გვაქვს, რომ ამ მოკლე ხანში მივაღწევთ დასახულ მიზანს.

სამხკორი ბ. ჯორბენაძე.

## ლანჩხუთის პირველი წერტი.

ლანჩხუთის რაიონში წვევამდელთა პირველი წერტის ჩამოყალიბება დაიწყო 1 დეკემბრამდე. პირველ დეკემბრიდან კი უკვე დაიწყო მეცადინეობა.

მეცადინეობის დაწყებისთანავე წერტზე კომკავშირის წევრთაგან ჩამოყალიბდა კოლექტივი, რომლის მუშაობის ხელმძღვანელად არჩეულ იქნა კოლექტივის ბიურო და მისი მდივანი.

ერთ-ერთ კრებაზე ჩვენთან გაკეთდა მოხსენება სამხკორთა მუშაობის შესახებ, რომლის შემდეგ გამოითქვა სურვილი მიეღოთ აქტიური მონაწილეობა გაზეთების მუშაობაში.

ჩვენ უკვე უშვებთ ყოველკვირეულ კედლის გაზეთს, რომელშიდაც მონაწილეობას ღებულობენ თვით წვევამდელებიც.

წერტზე კარგათაა მოწყობილი ლენინის კუთხე, რომელიც მომარაგებულია მრავალი ლიტერატურით და გაზეთებით. ჩვენ სისტემატიურად ვღებულობთ გაზეთ „წითელ არმიელს“.

წერტზე კვირაში 5 დღე სწარმოებს მეცადინეობა, დღეში 7 საათი; აქედან 5 საათის განმავლობაში სწარმოებს სამხედრო მეცადინეობა, მხოლოდ 2 საათი კი დათმობილი აქვს პოლიტ-მეცადინეობას.

წვევამდ. მირიან სარჯველაძე.

## გარე კახეთის წვევამდელთა წერტების საქმიანობიდან.

**მარტყოფის წერტი.**

1 დეკემბერს მარტყოფის წერტზედ ერთსულოვნათ ყველამ თავი მოიყარა. იმ დღიდანვე დაიწყო მეცადინეობა. წვევამდელთა თავმოყრის შემდეგ წერტის უფროსმა ამხ. შატბერაშვილმა გააცნო მათ, თუ რისთვის გამოიწვიეს და რა მიზანი აქვს დასახული საერთოდ საბჭოთა ხელისუფლებას წვევამდელთა მომზადებაში. წვევამდელები ძლიერ დაინტერესდნენ ამ მოხსენებით და მისცეს მრავალი შეკითხვები მომხსენებელს. ჩვენთან დეზერტირობას წვევამდელთა შორის ადგილი არა აქვს.

2 დეკემბერს მარტყოფის პოლიტგანმა გამოყო 2 მომზადებული ამხანაგი, პოლიტხელმძღვანელად, რომლებიც უკვე შეუდგნენ თავიანთი მოვალეობის ასრულებას.

მეცადინეობა წვევამდელებთან ტარდება სისტემატიურათ ყოველ დღე გარდა კვირისა, დღეში 7 საათი. წვევამდელები ძლიერ დაინტერესებულები არიან და გულმოდგინეთ ეპყრობიან თავიანთ საქმეს და მეცადინეობას.

წერტს ვაწყობთ თანდათანობით, ადგილობრივ ხელისუფლების დახმარებით, მოვაწყვეთ ლენკუთხე, მხოლოდ პლაკატებით და ლოზუნგებით ძალიან ღარიბები ვართ.

ამ დღეებში დაარსდება სალიკვიდაციო სკოლა წვევამდელებისათვის. მარტყოფის პოლიტგანს აქვს დასახული მიზნათ გამოყოს მასწავლებელი სალიკვიდაციო სკოლისათვის.

წერტზე გვყავს არჩეული კულტკომისია და რედკოლეგია. ამ მოკლე ხანში გამოვუშვებთ კედლის გაზეთს.

წერტზე მყოფი ყველა ამხანაგები; მეთაურები, პოლიტმუშაკები და წვევამდელები ერთსულოვნათ და აქტიურად მუშაობენ რომ, დიდი საქმე, რომელიც ჩვენს წინაშე სდგას იქნეს ჩატარებული ნაყოფიერათ.

მეთაური მარტყოფელი.

## 1905 წ. 20 წლის თავი ჩვენს ნაწილებში.

### როგორ შევხვდით დღესასწაულს.

**სამხ. პოლიტსკოლა.**

სკოლაში აღნიშნული საიუბილეო სამზადისი დაიწყო პირველ დეკემბრიდან; მთელ ამ ხნის განმავლობაში გაკეთებული იქნა მრავალი მოხსენებები სხვადასხვა თემებზე.

19 დეკემბერს კი კომუჯრედმა მოაწყო ხსენებულ რევოლიუციის 20 წლის თავის აღსანიშნავი საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ სკოლის საკავშირო კომისიის მიერ მოპატიჟებული სტუმრები სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციებიდან. აქ იყვნენ: არსენალიდან, წყალსადენიდან, მეთაურთა გაერთიანებულ სკოლიდან, ამხ. მაგილევსკის სახელობის სანაპირო სკოლიდან, წითელ დროშოვან არმიის პოლიტსკოლისა და ცენტრპარტსკოლიდან.

საზეიმო სხდომა გახსნა სკოლის უფროსმა ამხ. ნადირაძემ, რომელმაც მისასალმებელი სიტყვის შემდეგ წინადადება მისცა დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი სცენ 1905 წ. დაღუპულ მებრძოლების ხსოვნას.

მოხსენებით გამოვიდა სკოლის ლექტორი ამხ. ანთიძე, ხოლო შემდეგ კი პირადი მოგონებებით გაგვიმასპინძლდენ ამხ. გაგოშიძე (არსენალი), წყალსადენიდან მუშა თავდგირიძე, და სკოლის თანამშრომელი ამხ. თავაძე.

საზეიმო სხდომის სახელით მისალოცი დეპეშა გაიგზავნა 14 პარტყრილობის სახელზე, რის შემდეგ სკოლის ძალებით დაიდგა შემდეგი პიესები: „გაპონის სიკვდილი“ „სურათი ბატონყმობის ცხოვრებიდან“ და „მე მოვკვდი“.

სკოლის კურსანტებისაგან შემდგარმა ხორომ იმღერა რევოლიუციონური სიმღერები, ხოლო დასასრულ კურსანტებმავე წაიკითხეს რევოლიუციონური ლექსები ქართულ და რუსულ ენებზე.

გამოვიდა ამ დღისთვის სპეციალური ნომერი სკოლის კედლის გაზეთის.

საღამო ძლიერ შინაარსიანათ იქნა ჩატარებული, რაშიც დიდი ღვაწლი მიუძღვის ამა. კლუბის უფროსს.

განზრახულია ასეთივე კამპანია კომკავშირის შობის მოსაწყობათ.

სამხკორი გ. კიკნაძე.

## 1905 წლის იუბილე მეთაურთა შეერთებულ სკოლაში.

სკოლაში სხვა და სხვა მიზეზების გამო 1905 წ. 20 წლის თავი აღინიშნა მხოლოდ 20 დეკემბერს, სკოლის კლუბში საზეიმო საღამოს გამართვით. საღამოზე სკოლის წრემ მაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს. საღამოს მხატვრული მხარე დრამწრემ იკისრა.

სცენა იშვიათ სანახაობას წარმოადგენდა. შესაფერ სადღესო ლოზუნგებთან ერთად იყო 1905 წლის რევოლიუციის გმირების სურათები. მარქსის და ლენინის ბიუსტები გირლიანდებით მორთული ლამაზად დასცქეროდენ სცენას.

სცენის წინ იქით და აქეთ მოწყობილი იყო გამოფენა და 1905 წ. რევოლიუციაზე ლიტერატურის რეკომენდაცია.

საღამო გაიხსნა სკოლის უფროსის—ა ხ. ტალახაძის სიტყვით. ამხ. ვრცლად გააშუქა ამ მოძრაობის როლი შემდეგ რევოლიუციებში. ამხ. მრავალი პირადი მოგონებებიც გაგვიზიარა.

მოგონებებით გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. ამხ. გარდაფხაძე, გორგაძე და ჰეჰანაძე.

ამის შემდეგ სკოლის სამხედრო ორკესტრმა შეასრულა რამოდენიმე ნომერი რევოლიუციონური ჰიმნი. შემდეგ გამოვიდა მომღერალთა წრე—რევოლიუციონური სიმღერებით. მხურვალე მონაწილეობა მიიღო საღამოში აგრეთვე ლიტერატურულმა წრემ.

საერთოდ საღამო შინაარსიანად იქნა ჩატარებული.

სამხკორი ს. ვანენი.

## კულტურულ ფრონტზე.

### ვსწავლობთ წერა-კითხვას.

**4-ხე ლეგ. 9 რე ასეული.**

ჩვენი ასეულის ძეთაურმა მოსთხოვა სამაზრო ორგანიზაციას მასწავლებელი, წერა-კითხვის უცოდინარ წითელ არმიელებისათვის. თხოვნა შეგვიარულეს და მოგვცეს საკმაოდ ენერგიული ამხანაგი, რომელმაც მოსვლისთანავე დაიწყო მუშაობა.

8 დეკემბერი პირველი დღე იყო ამხანაგებისათვის, როდესაც ისინი შეუდგნენ წერა-კითხვის სწავლას. თითეული მათგანის სახეზე უაღრეს კმაყოფილებასა და სიხარულს ამოიკითხავდა კაცი. ამ დღიდან იშვიათი გულმოდგინეობით შეუდგენ ამხანაგები მეცადინეობას. მალე ასეულში აღარ გვეყოლება ერთი წერა-კითხვის უცოდინარი წითელი არმიელიც კი.

სამხკორი ა. იმერლიშვილი.

### ჩვენი დრამწრე.

**1-ლი საარტ. ლეგიონი.**

ლეგიონში არსებულ დრამწრის მუშაობა ნაყოფიერად მიმდინარეობს. წარმოდგენები სისტემატიურად იდგმება. პიესები საკმაოდ შერჩეულია შინაარსით ყოველთვის.

დრამწრის ხელმძღვანელი ენერგიული და აქტიურია. ის გარდა ამ საქმისა დახმარებას გვიწევს სკოლის გარეშე მუშაობაშიც.

სამხკორი ნიჟარაძე.

## ვინ იქნება შემდეგი?

თანახმად პოლიტხელ ხუჭუას გამოწვევისა, ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს“ და ამავე მიზნით ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს. მე-4 ხე საგაუბიცო ბატარეიდან: 1) მწყობრის თავს ამხ. ქვათაძეს, 2) მწყობრის თავს ამხ. ელიოსიძეს. 3) მწყობრის თავს ამხ. ბაბალოშვილს.

4) არმიის შტაბიდან: ამხ. ა. გარგარეთელს.

5) 1-ლი საარტილერიო ლეგიონიდან: შტ. უფროსს ამხ. ხევცურიანს. 6) სამნეო ნაწილის უფროსს ამხ. ანდრონიკაშვილს. 7) გუნდის უფროსს ამხ. ვაჩნაძეს 8) დაზვერვის უფროსს ამხ. ყაზიშვილს. 9) მწყ. თავს ამხ. დანდუროვს 10) მწყ. თავს ამხ. ტარიელაშვილს 11) მწყ. თავს ამხ. მაღალაშვილს 12) დაზვერის უფროსს ამხ. ჭინჭარაძეს 13) სკოლის ზემდეგს ამხ. გოგნიაშვილს, 14) 1-ლი ბატ. ზემდეგს ამხ. სირაძეს, 15) 2-რე ბატ. ზემდეგს ამხ. ლეჟავას, 16) 3 მე ბატ. ზემ. ამხ. კიზირიას, 17) ქვემეხის უფროსს ამხ. ლოლაძეს, 18) ქვ. უფროსს ამხ. ნარეკლიშვილს 19) ქვ. უფროს ამხ. გვენცაძეს და 20) გუნდის ზემდეგს. ამხ. ხაპეიშვილს.

მე-4-ხე ბატ. ქვ. უფროსი **გ. ჩიქოვანი.**

ვიწერ 1-ლ იანვრიდან ველისციხის წერტისათვის 1 ცალ გაზეთ „წითელ არმიელს“ ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს წვევამდელებს, რათა მათაც გამოიწერონ გაზეთი „წითელი არმიელი.“ 1) შ. თოროზოვს, 2) ილია კარდენახლიშვილს და 3) ჰაიკა ხატინოვს.

ყვარელის წერტიდან ვიწვევ: ჯგუფის პოლიტ-ხელს ამხ. ჰუმბურიძეს და თელავიდან რაზმაძეს.

წინანდალიდან. ქ. მსულქნიშვილს, დუშეთიდან: სავაძეს და ზაქარიაშვილს.

**ე. ხესიაშვილი.**

## ამბები სოფლებიდან.

**მასწავლებელთა თათბირები.** ახალციხის ალმასკომმა დაადგინა ყოველ სამთვეში ერთხელ მოიწვიოს სოფლის მასწავლებელთა თათბირები.

**ფართალი გლეხებისათვის.** გლეხკომების ცენტრ. კომიტეტის მიერ დასავლეთ საქართველოში გაგზავნილ 2 რონოდა ფართლიდან შორაპნის მაზრის საჭიროებისათვის გადადებულ იქნება 2 ათასი მანეთი.

**სოფ. ახალდაბის ალმასკომმა** (გორ. მ.) დაადგინა შეაკეთოს ადგილობრივი საექიმო პუნქტი.

**კულტმუშაობა სოფლად.** სოფლად კულტურული მუშაობის საწარმოებლათ, ახალციხის ალმასკომმა დაადგინა სოფლების ქოხ-სამკითხველოებთან მოეწყოს განსაკუთრებული საბჭოები.

**სიღნაღის ალმასკომმა** დაადგინა გაზაფხულიდან შეუდგეს გამოკვლევას ახალი წყალსადენის გამოსაყვანათ.

**სიმინდის გაიაფება.** სენაკის მაზრაში ამ ჟამად სიმინდი ფასობს 80 კაპ. ფუთი.

## პასუხი შეკითხვებზე.

**წ. ა. დაინტერესებულს.** თუ საატესტაციო კომისიას ასეთი დასკვნა აქვს გამოტანილი თანამშრომლის შესახებ, სამხედრო კომისარიატი ვალდებულია წაწიოს წინ თანამდებობაზე. შეგიძლიათ მიმართოთ ტერსამართველოში საატესტაციო კომისიას.

**მასვე.** ნორმალურ ტიპის სამხედრო სკოლაში რომ შეხვიდეთ, ამისთვის საჭიროა მიმართოთ თქვენს უფროსს შუამდგომლობის აღსაძრავად.

**მ. ლ—ტს.** უფროსის ნებართვით, თუ თავისუფალი იქნება ადგილი, შეგიძლიათ შეხვიდეთ საავიაციო სკოლაში.

**შ. კვანტალიანს.** თანახმად განათლების კომისარიატის ბრძანებისა № 123, § 3, პუნქტი „გ“—25 წ. უნდა იქნეს განთავისუფლებული თქვენი და სწავლის ფულისაგან, თუ ის თქვენს მზრუნველობის ქვეშ იმყოფება და შეიტანთ საამისო მოწმობებს.

**ა. აბსანიძეს.** მიმართეთ ერთ-ერთ პრიუტის ადმინისტრაციას.

**პ. ჩუბინიძეს.** მიწის კომისიის უკანონო მოქმედება შეგიძლიათ გაასაჩივროთ მიწათ მოქმედების კომისარიატში.

**ე. ნ—ძეს.** მიმართეთ საჩივრით სახალხო სასამართლოს.

**თავაძეს.** წ. მოლაშქრის და საერთოდ სამხედრო მსახურის სწავლის ფულისაგან განთავისუფლება სავალდებულოა სასწავლებლებში, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო ხარჯზე, კერძო სკოლებში კი დამოკიდებულია სკოლის ადმინისტრაციაზე.

**ე. დუგლაძეს.** სავალდებულო მეცადინეობაზე გამოცხადება სავალდებულოა თქვენთვის. სკოლაში სიარულის შესახებ მიმართეთ თქვენს უფროსს.

**ლ. მ—ძეს.** თუ თქვენი ნებით დაანებეთ თავი სამსახურს არ გერგებათ, თუ ნაწილმა დაგითხოვათ გერგებათ ორი კვირის ფული. მიმართეთ ლეგთავს.

**ხ. სარიას.** კადრის წ. ა., რომლებმაც შეასრულეს სამსახურის ვადა, მომავალ წელში საერთო ერთ თვიან შეკრებაზე გამოცხადება არ ეხებათ.

**რ—ძეს.** ყიდვა-გაყიდვა აკრძალულია. მიმართეთ პროკურორის თანაშემწეს მაზრაში. თუ ვენახის პატრონმა საიჯარო პირობა დაარღვია შეიტანეთ საჩივარი ადგილობრივ სახალხო სასამართლოში.

**წ. ა. ხაჩიევს.** არსებულ კანონების თანახმად სამხედრო სამსახურის ვადათ არის დაწესებული ორი წელი ქვეითა ჯარში.

## ბიბლიოგრაფია

$\frac{78 (47.92)}{\text{ა—67 ქ.}}$

**პროფ. არაყიშვილი, ქართული მუსიკა.**

ტ. „მეცნიერება საქართველოში“ 1925 გვ. 64.

ზემოდასახელებული წიგნი პირველი ცდაა ქართული მუსიკის ისტორიაში. მისი ავტორი პროფ. არაყიშვილი საკმაო პოპულიარობითაა ცნობილი, როგორც საქართველოს, ისე რუსეთის მუსიკალურ წრეებში და ჩვენი ხალხური მუსიკის ერთი საუკეთესო მცოდნეთაგანია. ამ პატარა წიგნში, მშვენიერათაა გადმოცემული ქართული მუსიკის ისტორია, ხალხური სამუსიკო იარაღების ჩამოთვლით და მოკლე მიმოხილვით იმ მომღერალ—მუსიკოსთა შესახებ, რომლებსაც რაიმე შესანიშნავი გაუკეთებიათ ქართულ მუსიკალურ შემოქმედება და ცხოვრებაში.

თითეულმა მუსიკის მოყვარულმა უნდა წაიკითხოს ეს წიგნაკი, რომ გაეცნოს ქართულ მუსიკალურ თავისებურებებს, როგორც სახმო, ისე ინსტრუმენტალურ დარგში. როგორც ვთქვით, ეს პირველი ცდაა და არ შეიძლება უდიდესი ყურადღებით არ მოვეპყროთ მას. წიგნი გამოდგება მუსიკალურ წრეებისათვის და თითეულმა ბიბლიოთეკამ უნდა შეიძინოს იგი ლეგიონის მაშტაბში.

გარეგნულათ მეტათ ლამაზი გამოცემაა და შრიფტიც წმინდა და გარკვეული. წიგნის მე-19 გვერდზე მოთავსებულია სურათი იმ ნოტებისა, რომლებსაც ჩვენი წინაპრები ხმარობდენ მერვე, მეცხრე, მეათე და მეთორმეტე საუკუნოებში. წიგნს დართული აქვს აგრეთვე ცნობილ მუსიკოს იპოლიტოვ-ივანოვის წინასიტყვაობა.

ღირს 80 კაპიკი.

**გრ. შავგულიძე.**

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ბუჯგუტის** (5 თე ლეგ.) თქვენი წერილი „რატომ ჰქვია ასე“ არ დაიბეჭდება, რადგან ეწინააღმდეგება დისციპლინის წესებს.

**ამხ. ამხ. დახველებულს** (1-ლი ლეგ.) და გოგიშვილს (5-თე ლეგ.) თქვენი წერილები: „რას ხედავს ჩვენი კომენდანტი“ და „ჩვენც შევიტანოთ წვლილი“ გამოდგება ადგილობრივი კედლის გაზეთებისათვის.

**ამხ. სიმართლეს** (5-თე ლეგ.) თქვენი წერილი ექიმის შესახებ არ გავა. ექიმმა უფრო კარგად იცის თავის მოვალეობა ვიდრე სხვამ.

**ამხ. დევაძეს** თქვენი გამოძახება **საშეფო სოფლის** შეწირულების შესახებ არ დაიბეჭდება.

**ამხ. კ—ძე-ს** (2 რე ლეგიონი) კორესპონდენცია მეორე ლეგიონის ცხოვრებიდან ძლიერ უმნიშვნელოა. არ გავა.

**ამხ. შალ. ბურკაძეს** (1-ლი არტლეგ.) წერილი საერთო კრების შესახებ არ დაიბეჭდება. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

**ამხ. ამხ. კორას** (1-ლი არტლეგ). კ—ძეს (6-სე ლეგ.) და ჯებირს თქვენი წერილები არ დაიბეჭდება თუ არ გვაცნობებთ ვინაობას.

**ამხ. მ. ჭყონიას** თქვენი წერილი „ისარგებლეთ ყაზარმით“ არ გავა. სწერეთ ნაწილის ცხოვრებიდან.

**ამხ. ლ. ძნელაძეს** (1-ლი ლეგ) კორესპონდენცია ახალწვეულებზე ძლიერ დაგვიანებულია. არ დაიბეჭდება.

**ამხ. ამხ. მ. ჭყონიას** (5-თე ლეგ) და **პ—ვის** (2-რე არტლეგ) თქვენი წერილები „შეუდექით მეცადინეობას“ და „რევოლიუციის დღესასწაული“ არ დაიბეჭდება. ასეთები უკვე იყო.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონის მე-5 კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიაში წევრად მიღების შესახებ ამხანაგებს—კ. პ. კანდიდატებს: 1—ლომია ალექსანდრეს, 2. ადამია გრიგორის (მეთაური), 3. ჩხეიძე ნიკოლოზს, (წ/მ) 4. გუჯაბიძე დავითს (წ. მ.)

კანდიდატათ:

1. ჩობანიშვილი მიხეილს (უპარტიო. ზემდეგი).

ვისაც რაიმე საწინააღმდეგო აქვს მათი მიღების შესახებ გთხოვთ შემოიტანოთ განცხადება წერილობით ან გვაცნობოთ სიტყვიერათ. მე-5 ასეულის კომუჯრედში.

კომუჯრედის პას. მგ.

მდივანი **ნ. ჯანელიძე**

## ლიტერატურის მაჩვენებელი კომკავშირის შოგისათვის.

**ა/ ქვეყნიერების და ადამიანის წარმოშობა.**

1) ალექსეევი, ი. ცხოველების და ადამიანების წარმოშობა ტ. ტ. ცეკა 1923. გვ. 22. $\frac{57}{\text{ა 45ც}}$

2) გოგიბერიძე, ვ. ადამიანის წარმოშობა. ტ. 1924. გვ. 70. $\frac{57}{\text{გ-67ა}}$

3) ენგელსი, ფრ. მაიმუნიდან ადამიანამდე. ტ. ცეკა. 1924 გვ. 29. $\frac{301}{\text{ე-52მ}}$

4) იაკოვლევი და მოზელ. მიწის მეცნიერ. ისტორიიდან. ტ. სახ. გამომც. 1923 გვ. 104. $\frac{5}{\text{ი-13მ}}$

5) მალინინი, კ. ქვეყნიერების ისტორია ტ. სახ. გამომ. 1924 გვ. 104. $\frac{57}{\text{მ-17 ქ.}}$

**ბ/ რელიგიის წარმოშობა.**

1) იაროსლავსკი, ე. როგორ იბადებიან ღმერთები. ტ. ცეკა. 1923 გვ. 52. $\frac{2}{\text{ი-12.რ.}}$

2) ლოგინიკი, ა. მეცნიერება და საღვთო წერილი. ტ. ცეკა. 1923. გვ. 38. $\frac{2}{\text{ლ-84.მ.}}$

3) ორაგველიძე, კ. რელიგია და მასთან ბრძოლა. ტ. 1924. გვ. 42. $\frac{2}{\text{ო-72რ.}}$

4) სტეპანოვი, ი. ნარკვევი რელიგ. რწმენათა განვითარებიდან. ტ. ცეკა. 1922 გვ. 52. $\frac{2}{\text{ს-91. ნ.}}$

5) სტეპანოვი, ი. ფიქრები რელიგიის შესახებ. ტ. ცეკა. 1923 გვ. 30. $\frac{2}{\text{ს-91.ზ.}}$

**უფრო მომზადებულთათვის.**

1) კუნოვი, ჰ. წარმოშობა რელიგიისა და ღვთისადმი რწმენისა. ტ. „წითელი წიგნი“ 1923. გვ. 181 $\frac{2}{\text{კ-94 წ.}}$

2) პლეხანოვი. გ. სარწმუნოების შესახებ. ტ. სახ. გამ. 1921 გვ. 150 $\frac{2}{\text{პ-50. ს.}}$

**ქრისტიანობისს შესახებ.**

1) ადაროვი, ნ. ქრისტიანობის წარმოშობა ტ. ალ. კავშირი ცეკა 1923. გვ. 192 $\frac{2}{\text{ა-23.ქ.}}$

2) „ „ კომ-კავშირის მეორე შობა. ტ. კომკავშ. ცეკა 1924 გვ. 66 $\frac{2}{\text{კ-77.}}$

3) რუმიანცევი, ნ. ქრისტეს შობა. ტ. ცეკა. 1923 გვ. 31 $\frac{2}{\text{რ-88.ქ.}}$

**მხატვრული ლიტერატურა.**

1) გომართელი, ი. ნიგვზარეთის ღვთის მშობელი. ტ. ცეკა. 1924. გვ. 48. $\frac{89}{\text{გ-76.ნ.}}$

2) ლომოური, ნ. ქაჯანა. ტ. წ. კ. გამ. საზ-ბა 1919. გვ. 84 $\frac{89}{\text{ლ-89.ქ.}}$

**ბიბლიოგრაფიული ბიურო**


## რა ღირს „წითელი არმიელი“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის


ნ. ღ. ხ. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ № 8. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე